პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 დეკემბერი ოთხშაბათი 1974 წელი 2 ფასი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 283 (16104)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სოიუზ-16“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი — ხომალდის მეთაური ა. ვ. ფილიპჩენკო (მარცხნივ) და ბორტინჟინერი ნ. ნ. რუკავიშნიკოვი გაფრენის წინ მეცადინეობის დროს კოსმონავტთა მომზადების ი. ა. გაგარინის სახელობის ცენტრში.

ხაჭატური (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

იდეოლოგიურ მუშაკთა მაღალი მოვალეობა

ჩვენ უფრო წინ მივიწევთ კომუნისტური საზოგადოების შენებლობაში, მით უფრო იზრდება თვითეული საბჭოთა ადამიანის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, შეგნებული დისციპლინის, იდეური რწმენის როლი. ეი რატომ არის, რომ სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ყველა უპირველეს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას ჩვენი პარტია უაღრესად მეიდროდ უკავშირებს მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მუდმივ სრულყოფას.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს საქმის წარმატებას, — ეს არის აღმზრდელთა კადრები. სწორედ ამას ექცევა უმთავრესი ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“. ახლა ამ დადგენილებაში წამოყენებული იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა მომზადებისა და მათი ხაზმოსინობის გაუჯობესების ფართო პროგრამას განიხილავენ კავეფნა პარტიულ ორგანიზაციებში.

„პრავდამ“ უკვე გააშუქა პარტიული კომიტეტების პლენუმები, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ვილნიუსსა და სხვა ქალაქებში გამართული საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური აქტივების კრებები. პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც აკამებენ მიღწეულს, მომთხოვნელობის გრძნობით ანალიზებენ კომუნისტური აღზრდის საკითხებზე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ცენტრალური კომიტეტის მითითებათა განსახორციელებლად. მთავარი მიზანია უზრუნველყოთ იდეოლოგიური მუშაობის მაღალი ქმედითობა. ამას მივაღწევთ მისი ისეთი ორგანიზაციის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს იდეურ-პოლიტიკური აზრთა ცვლების კომპლექსურ განხორციელებას, ოპერატიულობას, მასების სწრაფ და ზუსტ ორიენტაციას.

რა ძირითად მოთხოვნებს ვუყენებთ დღეს იდეოლოგიურ კადრებს? უწინარეს ყოვლისა ისინი უნდა გამოირჩეოდნენ მკაფიო იდეური პოზიციებით, მაღალი თეორიული და პროფესიული კომპეტენტურობით. ისინი ღრმად უნდა იცნობდნენ კომუნისტური აღზრდის ლენინურ პრინციპებს, უნარიანად უკავშირებდნენ საკვანძო-პროპაგანდისტულ მუშაობას კოლექტივთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საზრუნავს, დროზე ამჩნევდნენ და მზარს უჭირონენ ყოველივე ახალს, მოწინავეს, იბრძოლნენ უაღრესი შეხედულებებისა და ზნე-ჩვეულებების, რუტინისა და ჭარალბუუუნაზეული მომზმარებლური ფსიქოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ.

პარტიამ აღზარდა კომუნიზმის იდეალების ერთგული იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლთა კადრები — აგიტატორები და დამრიგებლები, პოლიტინფორმატორები და პროპაგანდისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, კულტურის სახალხო განათლების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები. ეს ჭეშმარიტად ჩვენი ოქროს ფონდია, პარტიის ერთგული დასაყრდენი მასების კომუნისტურ აღზრდაში, მისი დამკვრელი ძალა იდეოლოგიურ ბრძოლაში საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რეაქციის, ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ. იდეურ-პოლიტიკური მუშაობისადმი ყურადღება გაამლიერეს ჩვენმა სამეურნეო კადრებმა და სპეციალისტებმა, რომლებიც სულ უფრო ცდილობენ ადმინისტრაციული საქმიანობა შეუხამონ ადამიანთა აღზრდაში პირად მონაწილეობას, ეუფლებიან ხელმძღვანელობის ნამდვილად პარტიული სტილს.

ამასთანავე, როგორც პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და აქტივის კრებებზე განხილვის დროს ვამოვლინდა, დიდნი შეზნელოვან იდეოლოგიურ უბნებზე ჯერ კიდევ ხშირად აწინაურებენ ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი მორალურ-პოლიტიკური თვისებები, განათლება და გამოცდილება. მაგალითად, სეერდლოვსკში გამართულ საოლქო პარტორგანიზაციის აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ კულტურის რაიონული სახლების დირექტორთა თანამების მეოთხედს საშუალო განათლებაც კი არა აქვს. განა შეიძლება ასეთ შემთხვევებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მაღალი დონის იმედი ვიქონიოთ? ზოგიერთ იდეოლოგიურ დაწესებულებებში დიდია კადრების დენადობა, მათს შერჩევაზე გავლენას ახდენენ შემთხვევითობისა და მეკერძოების ელემენტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ბელორუსიის შესახებ ყოველმხრივ არის განსაზღვრული საქმის გაუმჯობესების ძირითადი გზები. ეს არის იდეოლოგიურ მუშაობა გულმოდგინე შერჩევა, საიმედო რეზერვის შექმნა, ადამიანთა განუწყვეტელი ინფორმირება, მათი თეორიული და პროფესიული სწავლების სრულყოფა. ცხოვრება მოითხოვს უფრო გაბედულად დაეწყნარებოთ იდეოლოგიურ უბნებზე სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ეროგორც პრომპაგანდისტებმა და ორგანიზატორებმა. ძველი, გამოცდილი კადრებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებასთან ერთად უფრო ფართოდ უნდა მივცეთ გზა პერსპექტიულ ახალგაზრდობას.

განსაკუთრებული ზრუნვის საგანია პარტიული კომიტეტების იდეოლოგიურ განყოფილებათა როლის ამაღლება. პროპაგანდისა და აგიტაციის ქმედითობის მიღწევა ნიშნავს ყოველნაირად წაადასტუროთ სახალხოთ სახალგებლო ინიციატივა და გამოცდილება, გადაჭრით ალმოფფხვრათ შაბლონი, აზრის ინერტულობა, მუშაობის მოძველებული ფორმები და მეთოდები, პრინციპიულად გავკიტიკოთ მედეგინენები და უმედები, ეოყოჩობისა და ტრაბახის გამოვლინებანი.

პარტიული ორგანიზაციები ახლა ამთავრებენ ახალ მოთხოვნათა შესაბამისად იდეოლოგიურ ღონისძიებათა გეგმების შემზადებას. უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებში, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში, ბევრ სხვა პარტიულ კომიტეტში შემუშავებული პერსპექტიული გეგმები მოიცავენ იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებათა მთელ ერთობლიობას. საქმე ეხება კადრების თეორიულ სწავლებას, მეცნიერულ აგიტაციასა და პროპაგანდის პრაქტიკას, პოლიტიკურ ინფორმაციას, პოლიტიკურ-აღზრდელობით საქმიანობას შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობის ხაცხოვრებელ ადგილას, შემოქმედებითი კავშირების, კულტურისა და სახალხო განათლების ორგანოების ხელშეკრულებებს. ასეთი კოორდინირებული მიდგომა ყველაზე მიზანშეწონილია, იგი უნდა გამოიყენოს თვითეულმა პარტიულმა კომიტეტმა. ამასთან საჭიროა ყოველნაირად ავარიდოთ თვე დეკლარაციულ, ბუნდოვან გეგმებს. წარმატებანი საფუძველია ეროვნული ამოცანებისა და ვალების კონკრეტულობა, სოციალურ-ეკონომიურ პრობლემათა გადაჭრის დაკავშირება იდეოლოგიურ ღონისძიებებთან, შემსრულებელთა ზუსტი პასუხისგებლობა და, რა თქმა უნდა, დასახულის შესრულების მუდმივი კონტროლი.

დასახულს უახლოვდება ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი. ამ დღეებში ქარხნებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები ცდილობენ პირნათლად შეასრულონ სოციალისტური ვალდებულებანი, იღებენ ახალ შემხვედრ გეგმებს. „ჩვენი სოციალისტური წყობილება, — თქვა ლენინოფში გამართულ ზეიმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ჩვენი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, ჩვენი საბჭოთა ცხოვრების წესი. ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი ხინამდვილე საბჭოთა ადამიანებს უნერგავს მოქალის ღრმა რწმენას, ხიმხნევისა და optimიზმის ხელისკეთებას“.

იდეოლოგიურ მუშაკთა მაღალი მოვალეობაა სიტყვით და საქმით განამტკიცონ ადამიანთა შეგნებაში ეს ძლევამოსილი რწმენა, შემოქმედებითი აღმშენებლობის ხელისკეთება, დარაზმონ მასები შეგნებითი ინიციატივა, დამკვრელური შრომისათვის ყველა საშუალებით შეუწყონ ხელი კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებებს.

„სოიუზ-16“ ხომალდის ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 2 დეკემბერი. (საკლესი). მოსკოვის დროით 20 საათისათვის „სოიუზ-16“ კოსმოსურმა ხომალდმა ხუთჯერ შემოუფრინა დედამიწას. მოძრაობის ტრაექტორიის კორექციის შემდეგ, რაც მეხუთე შემოფრენის დროს განხორციელდა, ხომალდი განაგრძობს ფრენას ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 223 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 177 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 88,4 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,8 გრადუსი.

პირველი დღის პროგრამით კოსმონავტები ა. ვ. ფილიპჩენკო და ნ. ნ. რუკავიშნიკოვი ამოწმებდნენ ხომალდის სისტემების მუშაობას ფრენის სხვადასხვა რეჟიმში, კავშირგაბმულობის მორიგი სეანსის დროს. ა. ვ. ფილიპჩენკომ გადმოსცა, რომ ეკიპაჟი ხავსებით შეეგუა უწონობის პირობებს. კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

20 საათსა და 30 წუთიდან 3 დეკემბრის 6 საათსა და 30 წუთამდე, როცა „სოიუზ-16“ კოსმოსური ხომალდი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის გარეთ იქნება, კოსმონავტები დაისვენებენ.

ფრენის მართვის ცენტრი, 3 დეკემბერი. (საკლესი). მოსკოვის დროით 12 საათისა და 30 წუთისათვის „სოიუზ-16“ კოსმოსურმა ხომალდმა 16-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

კოსმონავტების ანატოლი ფილიპჩენკოსა და ნიკოლოზ რუკავიშნიკოვის მეორე სამუშაო დღე ადრე დილით დაიწყო. ხაუზმისა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ ისინი შეუდგნენ ფრენის შემდგომი პროგრამის შესრულებას.

სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის პროგრამით კოსმონავტებმა შეამოწმეს მიკროორგანიზმების ზრდა უწონობის პირობებში.

„სოიუზისა“ და „აპოლონის“ კოსმოსური ხომალდების ერთობლივი ფრენის მომზადების პროგრამის შესაბამისად მოეწყო ცხოველმოქმედების უზრუნველყოფის შემოწმება. კერძოდ, „სოიუზ-16“ ხომალდის ნაკვეთურებში წნევა შეამცირეს ვერცხლისწყლის სვეტის 540 მილიმეტრამდე. ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. ანატოლი ფილიპჩენკოს მაჯისცემის სიხშირეა წუთში 70, ნიკოლოზ რუკავიშნიკოვისა — 75, ხომალდის მეთაურის სუნთქვის სიხშირეა 15, ბორტინჟინერისა — 20.

„სოიუზ-16“ ხომალდის ეკიპაჟის სამუშაო დღე დამთავრდება მოსკოვის დროით 23 საათზე.

„სოიუზ-16“ კოსმოსური ხომალდის ფრენა გრძელდება.

ყოველი წელი — ძველზე წელიწადი!

წლის ბოლომდე 27 დღე დარჩა

პროდუქცია ხარისხის ნიშნით

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმი ლენინის მოედანზე აღმართული თორმეტ-სართულიანი სახლის გუმბათზე შეინიშნავთ ფერად ნათურებით გამოსახული სახელმწიფო ხარისხის აღმნიშვნელ ვეებერთელა ემბლემას და ციფრს — 23-ს. ეს რეკლამა ბათუმის მუშათა კლასის წარმატების გამომხატველია.

ახლახან მოსკოვიდან ბათუმის ხალეარეალო გაერთიანებამ სასიხარულო ცნობა მიიღო, 4 სახის პროდუქციას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. ესენია სკოლამდელი და სკოლის ასაკის გოგონების ელეგანტური კაბები და ბიჭუნების ველვეტის კოსტუმები. ასეთივე დიდი შეფასება მარშან 3 ნაწარმს ხვდა წილად. ამჟამად ბათუმი მარტო სამკერვალო გაერთიანების 15 ნაწარმს ატარებს მიკუთვნებული ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

ჭიათურა. (საკ. კორ.). მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის წარმატებით იბრძვის „ჭიათურმანგანუმი“ სამმართველოს კოლექტივი, რომელსაც მეცხრე ხუთწლედის ოთხი წლის გეგმით 12.815 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეესრულებინა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 57-ე წლისთავისათვის მან შეასრულა 12.847 ათასი მანეთის სამუშაოები, გაათავა 16.352 გრძივი მეტრი გვირაბი და ვადამდე შეასრულა ხუთწლედის ოთხი წლის დავალება.

გვირაბმშენებლებმა ხუთწლედის განვლილ პერიოდში სამშობლოს 1.926 ათასი მანეთი მოგება მისცეს, რაც 683 ათასი მანეთით სჭარბობს ოთხი წლის დავალებას.

ჭიათურელმა „ეკირაბმშენებლებმა მწყობრში ჩააყენეს ახალი ათხვისის, ზედა რგანის ძაღარიები, რომელთა წლიური წარმადობა 625 ათასი ტონა მარგანეცია.

გვირაბმშენებლებმა გადაწყვიტეს წლეულს დამატებით აითვისონ 560 ათასი მანეთი და ხუთწლედი სამი ეკვით ადრე შეასრულონ.

გეგმა გან�ლდებულია

ბაკურიანი. ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ კოლექტივმა, რომელსაც წლიური გეგმის ვადამდე შესრულება ჰქონდა ნაკისრი, პირობა პირნათლად განაღდა, პროდუქციის რეალიზაციისა და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის შესრულება ხამშობლოს 16 ნოემბრისათვის უპატაჟა.

საწარმოში მეტიცად ასორტიმენტებ მომჭირნეობის რეჟიმს. ფაბრიკის „ლენინი“ ფეხსაცმელი.

ფაბრიკის კოლექტივმა გადახედა თავის შესაძლებლობას და გადაწყვიტა წლის ბოლომდე დამატებით 300 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვას.

ეს რედაქციას აცნობეს ფაბრიკის დირექტორმა ა. რობაქიძემ, პარტიკომის მდივანმა დ. ფუტუნაშვილმა, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ცაბარეიშვილმა.

„მართვის ავტომატიზებულ სისტემათა ტექნოლოგია-74“

მოსკოვში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, დიდი წარმატებით ჩაიარა საერთაშორისო გამოფენამ „მართვის ავტომატიზებულ სისტემათა ტექნოლოგია-74“. გამოფენაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის 20 სამინისტროსა და უწყების, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების: ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, აფრეთვე იუგოსლავიის ორგანიზაციები. გამოფენის ექსპონატებმა მკაფიოდ დაადასტურა სოციალისტური ქვეყნების უკანასკნელი მიღწევები ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებულ სისტემათა შემუშავებისა და დანერგვაში.

გამოფენის მუშაობის დროს ბევრი საუბარი, სემინარი და შეხვედრა გაიმართა. 500-ზე მეტმა სპეციალურ ნაგებობაში ჯიუფმა შეიტანა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში წარმოების მართვის ავტომატიზაციის ამოცანათა თანამედროვე სისტემატური გადაწყვეტის მოწინავე გამოცდილება.

ექსპოზიცია ინახულა ასი ათასზე მეტმა სპეციალისტმა. სულ კი გამოფენა „მართვის ავტომატიზებულ სისტემათა ტექნოლოგია-74“ ნახეს ერთ მილიონამდე კაცმა დათვალიერა.

მოსკოვში მოეწყო მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის საქმიანი ორგანოების, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ორგანიზაციების, ინსტიტუტების, ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისადმი გამოსათვალიერო ტექნიკის გამოყენების საკითხებზე. მდივნებმა დათვალიერეს გამოფენა „მართვის ავტომატიზებულ სისტემათა ტექნოლოგია-74“, სადაც დეტალურად გაეცნენ მეტალურგიულ, ენერგეტიკულ, ნავთობმომპოვებელ, ქიმიასშირისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მართვის ავტომატიზებულ სისტემათა შექმნისა და გამოყენების დარგში, მოპოვებულ უახლეს მიღწევებს, მოისმინეს სპეციალისტთა ინფორმაციები ამ სამუშაოთა მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

გამოფენის ექსპონატებს გაეცნონ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. ო. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები. (საკლესის კორ.).

ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტის სხვადასხვა მიდალი აქვს მიღებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ავტომატიზაციის საშუალებათა დემონსტრირების დროს ქუთაისის ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივს.

ქუთაისელ ხელსაწყოთმშენებელთა მიერ დამზადებული ავტომატური ხელსაწყოები ფართოდ ინერგება სასახლო მეურნეობის სხვადასხვა დარგში; ბიუროს კოლექტივს ასობით ხელსაწყო დაუპროექტებია და მაღალი სიზუსტის ხელსაწყოების შექმნით ამ ენთუზიასტ დაწესებულებას ასეულ ათასობით მანეთი ეკონომია აქვს მიღებული.

ამჟამად ქუთაისელი კონსტრუქტორები და ინჟინრები წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის იბრძვიან და პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. გაისად მათი ნახილავი გაიგზავნება საერთაშორისო, სადაც უნდა მოეწყოს საერთაშორისო ხელსაწყოთმშენებლობის მიღწევათა გამოფენა. ბიუროში აგრეთვე ამზადებენ ექსპონატებს მოსკოვის „ინტერორგტექნიკის“ გამოფენაზე გასაგზავნად.

• • •

ხელმძღვანელობა: კონსტრუქტორი ნინო საკანდელიძე და ინჟინერი დარეჯან ვეფხვიაშვილი მუშაობენ ინფორმაციის ძიების ავტომატურ სისტემაზე.

ბ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ეკონომიკა“

3 დეკემბრის მოწინავე

„ПРАВДА“

50 მილიონზე მეტი საბჭოთა მოქალაქე მონაწილეობს სახელმწიფოთა ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მუშაობაში

ეს ბრძოლა მსოფლიო ვითარებაში მნიშვნელოვანწილად ხალხის მასების უმაგალითო აქტიურობის შედეგია. მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი და სხვადასხვა სახელმწიფოთა ორგანიზაციებ, რომლებიც ამჟამად ასზე მეტ სახელმწიფოში მოქმედებენ, თავიანთ მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ საბჭოთა ხალხთან თავიანთი ქვეყნების ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი ახლა მასობრივი ორგანიზაციაა, რომლის როლი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში თანამიმდევრულად იზრდება, განაგრძო ბ. ნ. პონომარიოვმა, ბევრად გაფართოვდა კავშირის საქმიანობის სფერო. მისი აქტივისტების შემადგენლობაში ახლა მილიონობით ადამიანია. ეს გასაგებია არის: ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ჩვენი პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ინიციატივა, დაძაბულობის შენელებაზე გადასვლა.

ეს ძვრები მსოფლიო ვითარებაში მნიშვნელოვანწილად ხალხის მასების უმაგალითო აქტიურობის შედეგია. მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი და სხვადასხვა საზღვარგარეთული ორგანიზაციები, რომლებიც ახლა მეტ სახელმწიფოში მოქმედებენ, თავიანთ მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ საბჭოთა ხალხთან თავიანთი ქვეყნების ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი ახლა მასობრივი ორგანიზაციაა, რომლის როლი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში თანამიმდევრულად იზრდება, განაგრძო ბ. ნ. პონომარიოვმა, ბევრად გაფართოვდა კავშირის საქმიანობის სფერო. მისი აქტივისტების შემადგენლობაში ახლა მილიონობით ადამიანია. ეს გასაგებია არის: ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ჩვენი პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური

თანამშრომლობის ინტერესებისათვის

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის III სრულიად საკავშირო კონფერენციი

ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

კონფერენციის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ბ. ნ. პონომარიოვი, კ. ო. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, ცნობილი მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საწარმოების, კოლმეურნეობების, სასწავლებლების ხელმძღვანელები. მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირთან მეგობრობის მთელ რიგ საზღვარგარეთული საზოგადოებათა დელეგაციების მეთაურები.

დელეგატებმა და სტუმრებმა დიდი აპლოდისმენტებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ბ. ნ. პონომარიოვმა.

თქვენი კონფერენცია, თქვა მან, იმართება ღირსშესანიშნავ დროს, როცა სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის ზემოქმედებით უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და პერსპექტიული ძვრები ხდება არა მარტო საერთაშორისო ურთიერთობაში, არამედ ადამიანთა გონება-გაზნეობლობაშიც, ეს ძვრები მოასწავებს, კონფრონტაციიდან და „ცივი ომიდან“ თანაარსებობის ლენინური პრინციპის ბაზაზე, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზაციაზე, დაძაბულობის შენელებაზე გადასვლას.

ეს ძვრები ასევე ეროვნულ ცხოვრებაში, ადამიანთა ცხოვრებაში, ადამიანთა ურთიერთობაში, ეროვნულ ურთიერთობებში, ეროვნულ ურთიერთობებში, ეროვნულ ურთიერთობებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

მთავარია დონე

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მთავარი საწარმოს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული ერთი პოლიტსკოლის მეცადინეობაზე

ბინი ამ მეცადინეობაზე ცვლიდან მოვიდნენ. ზოგიერთ მათგანს ვერც კი მოესწრო სამუშაო ხალათის გამოცვლა და სამეცადინო ოთახში დაზგების სურნელი თან შემოჰყვა. ყველანი ახალგაზრდები არიან. ქალები სჭარბობენ, მათ შორის ბევრი დედა.

რამდენი საინტერესო პრობლემა დაუყენებიათ აქ, ეხარე კამათიც გამართულა, საკითხები გაურკვევიათ და ამაყოფილნი დაშლილან. ყოველი მეცადინეობიდან ცოდნა ახალი მარაგით ივსება, მცოდნემ ცხოვრების ყადრი და შრომის ფასეულობა იცის.

ადრე ისინი სხვადასხვა ტიპის სკოლებში მეცადინეობდნენ, წლეულს პირველად ჩაენერგა „სოციალიზმი და შრომა". საქმოვი წარმოების უფროსი გიორგი ვახაძე გამოცდილი პროპაგანდისტია. 1949 წელს, ივანოვოს საფეიერო მრეწველობის ინსტიტუტი რომ დაამთავრა, სამუშაოდ ესტონეთში გაამწესეს, 1951 წელს პარტიაში მიიღეს და აქედან მოყოლებული პროპაგანდისტის სპეციალობა მოყოლებულია ბასუხისმგებლობითა და სიყვარულით ასრულებს.

— ყოველ მეცადინეობაზე მე, თვით ორგანიზაცია (პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. ბოცვანი) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას. ახალ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების სისტემაში 735 მშრომელი სწავლობს, ხოლო კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელში — 738 ახალგაზრდა. ბევრი ფეიქარი სწავლობს დაუსწრებლად. მარქსისტ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში, კომუნისტური შრომის სკოლებში.

და, ა‌ი, დღეს, მორიგი, რიგით მესამე მეცადინეობა ეძღვნება თემას „შრომა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში", პირველ ორ მეცადინეობაზე მსმენელებმა დაამუშავეს თემა „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანი კეთილდღეობისათვის" და ბუნებრივია, პროპაგანდისტმაც ამით დაიწყო საუბარი.

სიტყვა წარმოთქვა ფეიქარმა პ. ძოწენიძემ. იგი დამაჯერებლად საუბრობს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საბჭოთა ადამიანების მატერიალური პირობების გაუმჯობესების საკითხებზე, ადგილობრივი ცხოვრებიდან მოაყოვს მაგალითები ამ მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ უახლესწლად მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, — აღნიშნავს იგი, — დიდი ყურადღება ეთმობა ფეიქართა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ჩვენ, ყველანი, როგორც ერთი კაცი, მხარს ვუჭერთ რეპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ბოლომდე აღმოფხვრას რესპუბლიკაში არსებული ნეგატიური მოვლენები. ამ ღონისძიებათა შედეგები ხელშესახები და ნათელია ჩვენი ცხოვრების მაგალითებიდანაც. მარტო ამ ორი უახლესელი სამი წლის მანძილზე ორი ხუთ-ხუთსართულიანი სახლი ჩაფდა ჩვენი საბინაო პირობების გაუმჯობესების სამსახურში, მზვეთრად გაუმჯობესდა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. მაგრამ ის, რაც გაკეთდა, სრულებითაც არ არის საკმარისი. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია მუშათა მომსახურების, კერძოდ, საკაჭრო მომსახურების საქმეში. კინ უნდა იბრძოლოს ამის წინააღმდეგ? უპირველესად ჩვენ, კომუნისტებმა, მუშებმა, ვინაიდან ყოველი გადაწყვეტილება ჭალადღეს დარჩება, თუ კომუნისტები, შრომითი კოლექტივის ყოველი წევრი ბოლომდე არ უზრუნველყოფთ მის განხორციელებას, სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართულმა XIV პლენუმმა, რომლის მასალების ღრმად შესწავლისათვის საჭიროდ მიმაჩნია მოეწყოს მეცადინეობები.

დაწყებულ საუბარს განაგრძობს № 3 საქსოვი საამქროს ქარგალი გ. გაბრიაძე, მის ბრიგადაში ოთხი მქსოველი და ორი ჩაწყვეტილი ძაფების აღმდგენელია. ისინი ორმოც საქსოვ დაზგას ემსახურებიან და დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს.

— თითქმის ყოველდღე უმჯობესდება მუშათა შრომისა და ცხოვრების მატერიალური პირობები, — განაცხადა მან, — მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი რეგზე რიდია. ჩვენს ბიენალეებებში, სადაც ექვსთვიანს კაცზე მეტი მუშაობს, დღემდე არ გაგვაჩნია მუშათა კლუბი. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს ფეიქართა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დონეზე.

პროპაგანდისტის მიერ დაყენებული საკითხები სხვა მსმენელებსაც შინაარსიანად გააშუქეს. ხაინტერესო იყო ფეიქარ შ. ბეხტაკაეს გამოსვლა, რომელმაც ილაპარაკა პროფკავშირიზმის მავნე შედეგებზე, ამ მხრივ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე. მეცადინეობაზე ყველა მსმენელი აქტიურობდა.

პროპაგანდისტი გ. ვახაძე აჯამებს მეცადინეობის შედეგებს და ახალი მასალის ახსნა-განმარტებაზე გადადის. მისი დინჯი, აუჩქარებელი ტონი, დამაჯერებლობა, თვალსაჩინოების მასალის დროდადრო გამოყენება ემოციურს ხდის საუბარს. საუბარში ფართო ადგილი დაეთმო ადგილობრივი ცხოვრების ფაქტებს. პროპაგანდისტმა თამამიდგენრულად განმარტა საკითხები: შრომა—საზოგადოების ცხოვრების საფუძველი, შრომის დამახასიათებელი ნიშნები განვითარებული სოციალი-ზმის პირობებში, სოციალისტური შრომა საზოგადოების სიმდიდრის წყაროა. მსმენელებმა მრავალი მეცადინეობისათვის მიიღეს პრაქტიკული დავალება — გააკეთონ ხუთწლედის და წლიური დავალების შესრულების მიმდინარეობის ანალიზი.

მეცადინეობიდან შინებული კარგ შთაბეჭდილებას ვრთგვარად ანელებს ის, რომ მსმენელებმა და პროპაგანდისტმა საკმაოდ არ გამოიყენეს მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან, თუმცა განხილული თემა ამის შესაძლებლობას იძლეოდა. საჭირო იყო პროპაგანდისტს მოკლედ მიმოეხილა ნოემბრის დავალებათა შესრულების მიმდინარეობაც.

მეცადინეობა დამთავრდა. საერთო შთაბეჭდილება გვაჯერებს, რომ მსმენელები პრაქტიკულად გამოიყენებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას. ამასთან, პარტიული ორგანიზაცია და პროპაგანდისტი, ვფიქრობთ, არ დაივიწყებენ ვ. ი. ლენინის მითითებას: „და თუ ჩვენ გვეტაფება აზრი, რომ მეტისმეტად დიდ ყურადღებას ვაქცევთ პროპაგანდას, საჭიროა ითქვას, რომ ჩვენ ეს აუცილებლად კიდევ ასჯერ უფრო მეტად უნდა გავაკეთოთ".

დ. გელენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

რატომ ჩრდილავს მუშაობის გრაფიკი?

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე

□

სამეო-მეტალურგიული კომბინატი ერის ასეთი საწარმოა ამბროლაურის რაიონში. აქ ხდება იშვიათი წიაღისეულის — დარიშხანის მოპოვება და მისი გადამუშავება. საბადო კავკასიონის მთებში, ზღვის დონიდან 2.100 მეტრზე მდებარეობს სამრეწველო დაბა და მთელი საწარმოო კომპლექსი კი ბუნების უმშვენიერეს წიაღში, სოფელ ურავის მახლობლად, მთის მდინარე ლუხუნის ორივე სანაპიროზეა განლაგებული.

მიმდინარე ხუთწლედში კომბინატის კოლექტივმა ათი ახალი სახის საწარმოო მნიშვნელობის პროდუქცია ითვისა, ერთ-ერთ მათგანს — სუფთა რაფინირებულ დარიშხანს შარმან სანელშეფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. კომბინატი სახალხო მეურნეობას ამარაგებს 35 სახის უნიშვნელოვანესი პროდუქციით. ყველა მათგანს უმეტესად იყენებენ ახალი დარგების — კამოთელითი და ლაზერის ტექნიკის, ელექტროგრაფიის, სხვადასხვა მინისა და ბროლის წარმოებაში, საავიაციო ტექნიკაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, გემთმშენებლობაში და სხვ.

— ლუხუნის დარიშხანის საბადო, — გვეუბნება კომბინატის დირექტორი ლ. გელოვანი, — საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უნიკალურ საბადოდ ითვლება. მისი წიაღისეული თავისი დიდი ბრილიანტივით შემადგენლობით საშუალებას იძლევა უმაღლესი ხარისხის დარიშხანის ხუფთა შესაერთების მისაღებად.

აქ გაითვალისწინეს საბადოს ეს უპირატესობა, აგრეთვე ისიც, რომ საწარმოს ახლანდელი ბაზა ვეღარ დაკმაყოფილებს მომავალში სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებას და ფეხს წესრიგში დაყენეს კიდევ საწარმოს მოლიანი რეკონსტრუქციისა და გაფართოების აუცილებლობა.

ხუთწლედის ეს ახალმშენებლობა აქ 1971 წელს დაიწყო. იგი განსაკუთრებული მნიშვნელობისა და გაბედულ უნდა დამთავრდეს. აქ მომავალში გათვალისწინებულია კიდევ უფრო გრანდიოზული სამუშაოების ჩატარება, კომბინატის საწარმოო სიმძლავრის გადიდება, და მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

როგორია საქმის ფაქტიური მდგომარეობა ადგილზე? სრულდება თუ არა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები?

რვა სამშენებლო ორგანიზაციიდან გათვალისწინებული გეგმის მიხედვით მხოლოდ ერთი ორგანიზაცია — № 10 საგზაო-სამშენებლო სამმართველო (უფროსი შ. ქვანაშვილი) მუშაობს. ამ სამმართველოს მშენებლებმა წესი-ურავის გზის მონაკვეთის ორ კილომეტრზე უკვე დააგეს ასფალტი, ხოლო 3 კილომეტრზე შავხრულეს დიდძალი მიწის სამუშაოები, მოაწყეს გზის მყარი საფუძველი. წლეულს პირველ სამ კვარტალში აქ შესრულებულია 248 ათასი მანეთის სამუშაო, გეგმა კი მხოლოდ 235 ათასი მანეთის ათვისებას ითვალისწინებდა.

წესი-ურავის გზაზე ავტომანქანამ სწრაფად გაიქროლა და გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო. ხელმარჯვენივ დარჩა თეთრი დარიშხანის ქარხნის მრჩოლავი საკვამურები. ეს ძველი, პრიმიტიული ქარხანა თავის არსებობის ბოლო დღეებს ითვლის. მაგრამ, კეკუსტრუქციის გეგმის მიხედვით, კაკუასიონის მთებში გადაატანენ — მეტალურგია დაბიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით.

ათიოდე წუთიც და, თეთრი დარიშხანის ქარხნის სამშენებლო ობიექტზე ვართ. ამ ქარხანას ორიდან სამშენებლო სამმართველო (უფროსი ა. კუპუნიძე) აშენებს. დაინტერესდით სამშენებლო-სამონტაჟო გეგმის შესრულების მაჩვენებლებით. მდგომარეობა საგალოდა. ქარხნის მთავარი კორპუსის შენებლობის სამი კვარტალის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 94,4 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩება მაღნის ხარეცხი საამქროს სამშენებლო სამუშაოები. დროის ამაგე მოსაკვეთში აქ მშენებლებმა მხოლოდ 32 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს და გეგმა მხოლოდ სანახევროდ — 53,4 პროცენტით განაღდეს. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე, უდისციპლინობა, არ იცრძნობა შენებელთა მრომითი შემართება.

თეთრი დარიშხანის ქარხნის მთელი სამონტაჟო სიმუშაოების შესრულება დავალებული აქვს ტყიბულის სამშენებლო-სამონტაჟო უბნის კოლექტივს (უფროსი ბ. გვეტაძე). ვესაუბრავთ მემონტაჟეებთა ბრიგადის წევრებს. ისინი ქარხნის მთავარი კორპუსის უზარმაზარი რკინის კონსტრუქციებს ამონტაჟებენ. კრანად მუშაობენ მემონტაჟეები, ისინი ჩქარობენ, „მთელ ძალ-ღონეს ხმარობენ, რათა ძირითადი სამონტაჟო სამუშაოები დროზე დაამთავრონ. მაგრამ მათ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ. როგორც აქ მომუშავე, ისე სხვა დანარჩენი მშენებლები, მოკლებულნი არიან იმის საშუალებას, რომ ადგილზე მიიღონ ცხელი სადილი. საერთოდ აქ საშვილი არ დადგა მუშათა კვების საქმის მოგვარებას. ნუთუ ახე ძნელია სამშენებლო მოედანზე გახსნან პატარა სავაჭრო ფარდული? ნორმალურ მოუგარიკეთ დაბის ცენტრიდან ქარხნის მშენებლობამდე მუშების გადაყვანა. მშენებლებს დილას და საღამოს ფეხით უწევთათ დიდი მანძილის გავლა.

მშენებლობის ტემპსა და შრომის ხეორი ორგანიზაციის საქმეს დიდად აფერხებს მეტალურგთა დაბასა და თეთრი დარიშხანის ქარხნის მშენებლობას შორის სატელეფონო კავშირის უქონლობა. სატელეფონო კავშირი არც სხვა სამშენებლო ობიექტებზეა მოგვარებული. სამთო-მეტალურგიულ კომბინატს სადღეღამისო სატელეფონო კავშირი რაიონულ ცენტრთანაც კი არ აქვს დამყარებული. კავშირგაბმულობასა და სიგნალიზაციაზე, როგორც ვგეიხრეს, წლეულს გამოყოფილია საკმაოდ ხოლიდური თანხა — 47 ათასი მანეთი, ნამდვილად კი, ათვისებულია მხოლოდ 5 ათასი მანეთი, ანუ წლიური გეგმის 10,6 პროცენტი. გასაკვირველია სამრეწველო კავშირგაბმულობის სპეციალური სამშენებლო სამმართველოს (უფროსი რ. სტეფანიანი) ხელმძღვანელების უცნაური პოზიცია, რომლებიც მუუდადავად არა ერთი შეხვედრებისა, არ უბრუნდებიან მშენებლობას და ჩაშლის პირამდე მიიყვანეს სამეფოშეფოო გეგმა.

ბრუნდებით უკან. დაბის ცენტრში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა ახალმა შენობამ, რომლებიც სულ მალე უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. ერთი მათგანი 110-ადგილიანი მზეთა სასადილოა, მეორე კი — მრავალსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. მშენებელთა სასასელოდ უნდა ითქვას, რომ ორივე შენობა კარგად, მაღალხარისხოვნად არის აგებული. სულ მალე ახალ სახლში ბინებს მიიღებენ მშენებლები, მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები.

იქვე ახალი საქვაბე კომბლექსის მშენებლობაც. იგი დაბის აღმოსავლეთით, მდინარე ლუხუნის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს.

— ეს ობიექტი, — გვეუბნება ჩორდმშენის სამშენებლო სამმართველოს პირველი უბნის უფროსი ინჟინერი დ. კაკაბაძე, — წლეულს მეოთხე კვარტალის ბოლოს უნდა ავამუშაოთ...

დეტალურად ეკითხეულობთ ასამუშავებელ ობიექტს. მდგომარეობა დამაფიქრებელია. ხაქვაბე კომბლექსის ჩაბარებამდე ვადა იწურება, სამუშაოები კი კვლავ ბევრია დარჩენილი, მაგრამ აქ ეს არაფის აღელვებს. მესამე ქვაბის ბეტონის სამირკველი რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩაეყაროს, თორემ შეფუჩრდება მადნის ხარეცხი საამქროს სამშენებლო სამუშაოები. დროის ამაგე მოსაკვეთში აქ მშენებლებმა მხოლოდ 32 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

შეასრულეს და გეგმა მხოლოდ სანახევროდ — 53,4 პროცენტით განაღდეს. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე, ადგილობრივი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ...



ბაიკონურის უხვი მზე

რეპორტაჟი სოიუზ-16 ხომალდის სასტარტო მოედნიდან

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲖᲔ: ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ „ᲡᲝᲘᲣᲖ-16“ ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲢᲝ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲓᲐᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ დამთხვევაა: ბაიკონურის კოსმოდრომიდან ოცდაᲡამი პილოტირებული სტარტის დროს Არცერთი დღე დრუბლიანი არ ყოფილა. არა, ეძიტომ კი არა, რომ კოსმოსში უამინდობის გამო არ მიფრინავენ. უბრალოდ კოსმოდრომზე ბედნიერი ტრადიცია დამკვიდრდა და ᲐᲛ ტრადიციისამებრ მზე უბვად ანიჭებს საზეიმო განწყობილებას კოსმოდრომის ᲧᲕᲔᲚᲐ მᲠᲝᲛᲔᲚᲗ მათი ნიჭისა და გატაცებისათვის, ძალი ძნელი შრომისათვის.

ეს-ეს არის ოთხსართულიანი სახლის სიმაღლის მასიური „კარი“ ნელ-ნელა შეედო სამონტაჟო-საცდელი კორპუსის კედელში, სადაც დამთავრდა რაკეტისა და ხომალდის მომზადება.

დიახ, ეს ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ დიდი დღესასწაულია ასათასობით ადამიანისათვის, რომლებიც ᲐᲒᲘᲛᲔᲜ და აცილებენ სამყაროში მიმავალ ხომალდებს. უკან დარჩა დიდი შრომა, კონსტრუქტორის ნახაზებიდან და მეტალურგის ბრძმედებიდან მოᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ხომალდის კოსმოსური ტრასის ᲧᲕᲔᲚᲐ ელემენტის უᲬᲣᲡᲢᲔᲡᲘ მათემატიკური გაანგარიშებით დამთავრებული.

დღეᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ სტარტის ტრასა კი განსაკუთრებულია. „სოიუზის“ სერიიდან მეთექვსმეტე ხომალდი გავა ორბიტაზე, რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება იმ ორბიტას, რომელზეც 1975 წლის ივლისში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ხომალდები „სოიუზი“ და „აპოლონი“. ჩვენს ᲑᲝᲠᲢ-ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲨᲘ, თქვენს ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ შეხვედრაზე ეკიპაჟის წევრებმა ალექსეი ელისეევმა და ნიკოლოზ რუკავიშნიკოვმა, ჩაწერილია პრაქტიკულად ᲧᲕᲔᲚᲐ ოპერაცია, რომლებიც საჭიროიქნება „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ხომალდების შეხვედრის დროს.

